საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კვარშა

კვარშა, ყვარშა, ხუროთმოძღვრების ძეგლი, VII ს. დასასრულისა და VIII ს. დასაწყისის დარბაზული ეკლესია, მისივე თანადროული ჩრდ. და სამხრ. მინაშენებით. მდებარეობს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ამავე სახელწოდების ნასოფლარში, ისტ. ჯავახეთში, ხერთვისის ციხის ზემოთ. ეკლესიას აღმ-ით სამი აფსიდი აქვს, მათგან შუა, მთავარი, ორჯერ აღემატება გვერდითებს მალის სიდიდით. იგი გვერდითი აფსიდებისგან გარედან გამოყოფილია გეგმით სამკუთხა ორი ღრმა ნიშით. ეკლესიის კედლების ქვედა ნაწილები ნაგებია სხვადასხვა ზომის ზედაპირმოსწორებული ბაზალტის ქვით, ზოგი მათგანი ძალიან დიდია (1,25 მ × 1,60 მ), ზედა ნაწილი ნაწყობია უხეშად გათლილი ქვის ჰორიზონტალური რიგებით და მოგვიანო ხანის (მაგრამ არა X–XIII სს.) კაპიტალური შეკეთების შედეგია. ცენტრალური ნავი გადახურულია საბჯენ თაღებზე დაყრდნობილი კოლოფა კამარით. შიგნით კედლები ნაწყობია უხეშად ზედაპირმოსწორებული ქვების სწორი რიგებით. საკურთხევლის კუთხეების, პილასტრებისა და მათი კაპიტელების, აგრეთვე კარ-სარკმლის სათაურებისათვის გამოყენებულია სუფთად გათლილი ქვები. ინტერიერსა და ფასადებზე შემონახულია ასომთავრულითა და ნუსხურით სხვადასხვა დროს შესრულებული წარწერები. ჩრდ. ფასადზე უხეშად ამოკვეთილი ადამიანის გამოსახულებაა.

ლიტ.: ჯ ა ბ უ ა ნ., ქრისტიანული ტაძრის არქიტექტურული ტიპები შუა საუკუნეების საქართველოში, თბ., 2012; Ч у б и н а ш в и л и Н. Г., Церовани, Тб., 1976.

თ. გერსამია